ქალის ხვედრი თუ ქალის ტვირთი მიხეილ ჯავახიშვილის მხატვრულ ნააზრევში

ბლუიშვილი გვანცა

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

DOI: https://doi.org/10.52340/tuw.2025.38.01.17

აბსტრაქტი: *მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებაში გამორჩეულ ადგილს იკავებს ქალთა სახეები. შესაბამისად, ამ საკითხს ქართულ სამეცნიერეო სივრცეში სათანადო ყურადღება აქვს დათმობილი.*

ცხოველი ინტერესის საგნად იქცა ის საკითხი, თუ რა როლი აკისრიათ მიხეილ ჯავახიშვილის ქალ პერსონაჟებს საზოგადოების წინაშე. ყოველი თაობის ინტერესს იწვევს, როგორ იქმნებიან ისინი.

მიხეილ ჯავახიშვილისათვის მნიშვნელოვანია ის ქალი პერსონაჟები, რომლებმაც მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრეს ქართველთა ცნობიერებაში. მწერალი ცდილობს თითოეული ქალის სახე წარმოაჩინოს ისე, რომ მისაბაძი გახდეს, მათი საქციელი მომავალი თაობისათვის. დაანახოს მკითხველს, სად იყო დაშვებული შეცდომები სისუსტის გზაზე.

ავტორი გმობს ქალის სიმსუბუქეს, ანგარებას, ქარაფშუტობას, უღირსობას. მიხეილ ჯავახიშვილს სძულს ფუტურო პერსონაჟები, *ისეთები, როგორებიც არიან მარგარიტა ყაფლანიშვილი და ქეთევან ახატნელი,* მკითხველს ლოგიკურად მიაჩნია აღნიშნულ მთავარ გმირთა უფრო მეტად გაუკუღმართება და ჭაობში ჩაძირვა.

მიხეილ ჯავახიშვილმა *ასეთი მხატვრული სახეების შექმნით გვიჩვენა, რომ ადამიანი* რომელ კლასსაც არ უნდა ეკუთვნოდეს, ისტორიის რომელ ეტაპზეც არ უნდა იდგეს, ადამიანური სინდის-ნამუსი არ უნდა შემოიძარცვოს. მით უმეტეს ქალი ამ შემთხვევაში მოჩვენებითად იქით არ უნდა გადაიხაროს, საიდანაც სარგებელს მოელის, ეს ხომ უგარანტიო და დროებითი სიამეა.

აღნიშნულზე მეტყველებს მწერლის პუბლიცისტური ნააზრევიც, სადაც ვკითხულობთ:
"მხოლოდ დრო და სივრცეა მარადიული" (ჯავახიშვილი, მ., 2015:17).
"მარგო ისტერიით გახდა ავად სქესის ნიადაგზე,ჯაყომ მოარჩინა" (ჯავახშვილი, მ.,2015:28).
"სულიერი სიცარიელე და გარეგანი ბრწყინვალება" (ჯავახიშვილი, მ., 2015: 61).
"მარტოობის შიში სისუსტის ნიშანია"(ჯავახიშვილი, მ., 2015:289); "სიყვარული უსაზღვრო სიკეთეა,სულიერი დადნობაა. დანარჩენი მხოლოდ სიტკბოებაა, ვნებიანობა, ხორცის აგონია. მან არც პატიება იცის,არც სიკეთის ქმნა"(ჯავახიშვილი, მ., 5015:163); "ქალს შუბლის ძარღვი გაუწყდა. ე.ი. სინდისი დაეკარგა"(ჯავახიშვილი, მ., 2015:354).

მიხეილ ჯავახიშვილმა ორიგინალური და თავისთავადი ქალი პერსონაჟების მხატვრული სახეების შექმნით ამხილა ეპოქის სინამდვილე. მისი ქალი პერსონაჟების ხვედრი აღმოჩნდა სწორედ ეპოქის მძიმე უღელი, ქალის პიროვნების დაკნინება ხომ ისეთივე საშიში მოვლენაა ერისათვის, როგორც "ჯაყოობა", "ვვაჭიზმი" თუ "ყვარყვარეობა".

რაც შეეხება მათ ტვირთს, როდესაც ადამიანი ინსტიქტების მონა ხდება და მის მოქმედებას ეგოიზმი წარმართავს, ტვირთი, რომელიც შესაძლებელია დასახული მიზნის მისაღწევად აიკიდეს მხრებზე, გაცილებით დიდი და ძნელად საზიდია და შესაძლებელია მის ქვეშ გაისრისონ კიდეც. ,,ორთა უფალთა შორის" მერყევი ადამიანები გაორებულნი და გზააზბნეულნი არიან, ეს საკითხი ერთ-ერთ მტკივნეულ პრობლემად იქცა მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებაში.

საკვანძო სიტყვები: *მიხეილ ჯავახიშვილი, ქალის ტვირთი, ხვედრი.*

მიხეილ ჯავახიშვილის მრავალმხრივ საინტერესო ლიტერატურული მემკვიდრეობა მარადიული მსჯელობის საგანია არაერთ საჭირბოროტო საკითხზე.

მწერლის მხატვრულ ნააზრევში, საყოველთაოდ ცნობილია, რომ განსაკუთრებული სიმძაფრით ირეკლება თანადროული ეპოქალური პრობლემები.

მიხეილ ჯავახიშილი ძალიან კარგად იცნობს თავისი ეპოქის ქალაქისა თუ სოფლის მკვიდრ ქართველთა ყოფას. რეალობიდან იღებს სათავეს მწერლის პერსონაჟთა სამოქმედო არეალი.

„მე მიყვარს საქართველოს წარსული, მე მძულს მისი დღევანდელობა, მე მწამს მისი მომავალი“ (ჯავახიშვილი, მ., 2011:270). მწერლის უბის წიგნაკში გაკეთებული ეს ჩანაწერი ნათელ წარმოდგენას გვიქმნის იმაზე, თუ რამდენად მიუღებელი იყო მიხეილ ჯავახიშვილისთვის საბჭოთა ეპოქა, იმ დროს გამეფებული მედროვეობა.

საკუთარი ტვირთის ქვეშ გასრესილი ადამიანთა სიჭარბე მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედების მახასიათებლად იქცა. „ჯაყოს ხიზნებში“ დაუნდობელი სატირული კალმით არის წარმოდგენილი სიბოროტე - ჯაყო, უმწეობა - თეიმურაზი და მათი ერთობლივი მსხვერპლი - მარგო. რომანში ასახული ხორციელი დეგრადაციისა და დაკნინების სურათი ეროვნული ტრაგედიის სიღრმეს უნდა გულისხმობდეს. ზნეობრივი შოლტის გაცოფებულმა ქნევამ სიყვარულის ნიშანწყალი გააქრო, არ გაარჩია სქესი. ცხოვრების ფორმულას ჰგავს და ადამიანურ გამოცდილებად შეიძლება ჩაითვალოს მარგარიტა ყაფლანიშვილის სიტყვები: „ვნახე. განვიცადე. მწამდა. ვსტიროდი“(ჯავახიშვილი, მ., 2019:207).

მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებაში გამორჩეულ ადგილს იკავებს ქალთა სახეები. შესაბამისად, ამ საკითხს ქართულ სამეცნიერეო სივრცეში სათანადო ყურადღება აქვს დათმობილი.

ცხოველი ინტერესის საგნად იქცა მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებაში ქალი პერსონაჟები. განსაკუთრებით კი ის საკითხი, თუ რა როლი აკისრიათ მიხეილ ჯავახიშვილის ქალ პერსონაჟებს საზოგადოების წინაშე. ყოველი თაობის ინტერესს იწვევს, როგორ იქმნებიან ისინი, რა დატვირთვა აქვს თუნდაც მათ საკუთარ სახელს. მაგალითად მარგარიტა ყაფლანიშვილი გავიხსენოთ. შემთხვევით როდი ჰქვია მას მარგარიტა - ვკითხულობთ მარგოს დახასიათებას, როგორც ,,ჯვარცმული ანგელოზი“, რატომ დაარქვა ავტორმა მარგარიტა? ეს სახელი კავსირშია იესოს შეგონებასთან, რომელიც თეიმურაზს ყველაზე მძიმე წუთებში ახსენდება: ,,ნუ მისცემთ სიწმიდესა ძაღლთა, ნუცა დაუფენთ მარგალიტსა თქვენსა წინაშე ღორთა, ნუუკუე დათრგუნონ იგი ფერხითა მათითა და მოიქცენ და განგხეთქნენ თქუენ”(ჯავახიშვილი, მ., 2019:139).

მკვლევართა აზრი მარგოს პერსონაჟთან დაკავშირებით არაერთგვაროვანია, ნაწილი მის თავგადასავალში ადამიანის მონად გადაქცევის პროცესს ხედავს. მარგო არის პიროვნება, რომელიც დამცირებას პროტესტით პასუხობს, ხოლო შემდეგ ეგუება, რადგან თავის უძლურებას გრძნობს. მისი ზნეობრივი დაცემა გაგრძელდა იქამდე, სანამ სოციალური მონობით არ დასრულდა. მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ მარგო მსხერპლია, ის თეიმურაზის უხერხემლობამ და ჯაყოს ძალადობამ შეიწირა. საყურადღებოა,რომ მარგოს ალეგორიულ სახეში ჩვენი ქვეყნის ბედის ანარეკლსაც ხედავენ და ყველა ქართველის მიმართ საყვედურივით გაისმის მარგოს სიტვები: „ღმერთმა ჩემი ცოდვა შენ დაგაკისროს“(ჯავახიშვილი, მ., 2019:197). მწერლის ქალიშვილი - ქეთევან ჯავახიშვილი იხსენებს: ,,ჯაყოს ხიზნების“ მე-2 გამოცემის ყდაზე ძაღლებია გამოსახული,რომლებიც ყმუიან, ავტორის აზრით მარგო მოელის გათავისუფლებას და ყმუილი მაგის ნიშანია.

მარგარიტა ყაფლანიშვილი, როგორც ქალი, თავდაპირველად დიდ სითბოსა და მზრუნველობას იჩენს მეუღლისადმი, მოვლენების შემდეგი განვითარებისას ვხედავთ, რომ ის საკმაოდ გამძლე და მომთმენიც აღმოჩნდა, თუმცა შინაგანი სიმსუბუქე მართალია ჩაცხრა, მაგრამ როცა ფაქტის წინაშე დადგა ,,ნადირ“ მოურავთან, მისი გაციებული გონება მხურვალე გრძნობებთან დამარცხდა. მისი შემდეგი გადაწყვეტილებები, შეჰგუებოდა მოურავის ხასობას, თავი დაეღწია შიმშილისა და ხელმოკლეობისათვის მიგვანიშნებს, რომ მარგო ანგარიშის ქალია. მან საკუთარი ქმედება იმით გაამართლა, რომ უუნარო ქმარი ყავს გვერდში, თუმცა აქ მკითხველს კითხვა უჩნდება, უბიძგებს კი ქალს ქმრის უხერხემლობა ჩაიდინოს

გამოუსწორებელი დანაშაული, შესცოდოს, იმრუშოს? მაგრამ მარგოს ფსიქოლოგიურმა ეგომ დამნაშავე მალევე მონახა და ეს დიახ, თეიმურაზია, მისი „დონდლო", „უძვლო" მეუღლე.

მიხეილ ჯავახიშვილმა კარგად იცის, რომ ყოველი ადამიანის ბუნებას, და ხასიათსა და ქცევას განაპირობებს არა მხოლოდ განათლება ან საზოგადოებრივი მდგომარეობა, არამედ სისხლი, რომელიც თაობების ცოდვა-მადლის შემნახველი და მატარებელია. არქეტიპები და გენები ადამიანის მოტივაციასა და ფიქრს ხსნის. მარგოს არსებაში ჭიდილი დაიწყო და ხორცი აჯანყდა, თითქოს მისი სისხლი და გული განაპირდნენ და განზე გადგნენ.

ვნებაზეა გადატანილი ძირითადი აქცენტი, წამიერად იპყრობს ვნება ადამიანის გონებას და საბედისწეროდ ცვლის ეს წამი ადამიანის ცხოვრებას. მარგოს ანგარებიან გულში ნოყიერი ნიადაგი იპოვა ცოდვის მარცვალმა გასაღვივებლად.ბუნებრივია, მკითხველს ყოველთვის უჩნდება კითხვა, რატომ ეყოლა შთამომავალი მარგოს ჯაყოსგან და არა თეიმურაზისგან? საქმე იმაშია, რომ უმწეო ალტრუიზმი და პასიურობა უნაყოფოა, ხოლო მიზანთროპია და პასიურობა ნაყოფიერი. საფრთხეს შეიცავს მსგავსი მომავალი.

მიხეილ ჯავახიშვილი, საგულისხმოა, რომ გულისტკივილით შესცქერის მარგოს დაცემას. მარგო თავადაზნაურულსა და გაფოფინებულ სულს გამწარებულს დაათრევს, დალასლასებს. მისი ასეთი ყოფა მწერლის პასუხია მარგოსადმი. ავტორი გმობს მსგავსი ქალის ანგარებას, უღირსობას, სიმსუბუქეს, ქარაფშუტობას.

მიხეილ ჯავახიშვილმა ხევისთავების მაგალითზე მაღალ მხატვრული ოსტატობით გვიჩვენა, რომ ადამიანი ისტორიის რომელ ეტაპზეც არ უნდა იდგეს, რომელ კლასსაც არ უნდა ეკუთვნოდეს, ადამიანური სინდის-ნამუსი არ უნდა შემოიძარცვოს. მით უმეტეს ქალი მოჩვენებითად იქით არ უნდა გადაიხაროს, საიდანაც სარგებელს მოელის, ეს ხომ დროებითი და უგარანტიო სიამეა. დიახ, ადამიანთა ასეთი კატეგორიის ტიპური წარმომადგენელია მარგარიტა ყაფლანიშვილი. მისი საბოლოო მდგომარეობა, არის ხვედრი, რომელის თანაავტორი თავადვე იყო. ხოლო ტვირთში, რაც შეიძლება ვიგულისხმოთ აგრეთვე თავად მიიღო მონაწილეობა, მოამზადა და მხრებზე აიკიდა.

ამ მხრივ არანაკლებ ნიშვნელოვანია რომანი "ქალის ტვირთი", ნაწარმოებში განხილული ძირითადი საკითხები მკითხველს ღრმა საფიქრალს უტოვებს. მიხეილ ჯავახიშვილი თავად-აზნაურთა შთამომავალ ქეთევან ახატნელის ტრაგიკულ ბედზე მოგვითხრობს. რომანში ისეთი საკითხები ლიდერობს, როგორიც არის ქალის როლი პოლიტიკაში, ქალის მხრიდან გაწეული გამძლეობა, რისკი და გადაწყვეტილებები, რომელიც შეიძლება მიიღოს სიყვარულის გამო.

მიხეილ ჯავახიშვილის ბოლოდროინდელი ნაწერები გაჟღენთილია კრიტიკულ-მამხილებელი და ამავდროულად რეალისტური კოლორიტით, ჰუმანისტური პათოსით, რაც ახალი სიტყვა იყო ქართულ მწერლობაში.

მიუხედავად იმისა, რომ ქეთევენი იდეურად პროლეტარიატს ემხრობოდა ის მაინც თავისი კლასის პირმშოდ დარჩა და მისი დაღუპვის მიზეზიც ეს გახდა. ნაწარმოების მთელი სიუჟეტური ხაზი და უპირველესყოვლისად სათაური მიგვითითებს, რომ მწერალი დაინტერესებულია გაარკვიოს ქალის როლი, მისი ხვედრი, მისი ტვირთი იმ ისტორიულ-პოლიტიკურ ამბებში, რომელსაც პირველი რევოლუცია მოიცავდა.

მიხეილ ჯავახიშვილი ქალთა საკითხის სიღრმისეულ განხილვას გვთავაზობს „ქალის ტვირთში". რომანში გვიყვება რა თავად-აზნაურთა შთამომავალ ქეთევან ახატნელის ტრაგიკულ ბედზე. ამავდროულად არანაკლები სიმძაფრით გვიხატავს გმირი ქალის თვისებებს - მართა დოვლათიშვილის მხავრული სახის შექმნით. მათი თვისებებისა და ქმედებების შეპირისპირებით ავტორი მკითხველს მთავარი პრობლემის წინაშე აყენებს, თუ როგორ უნდა იყოს გამძლე და თავდადებული ადამიანი, პატიოსანი, სიყვარულში ერთგული და პატრიოტი. სწორედ ისეთივე როგორიც მართაა. მან საკუთარი წილი ტვირთი ამაყად მოიგდო მხრებზე და ბოლომდე ატარა, ხოლო ქეთევანის შემთხვევაში, ავტორი გვაცნობს გაორებულ პიროვნებას, საგულისხმოა, რომ ქეთევანს რომანის დასაწყისშივე სარკიდან ვიცნობთ. მის პიროვნულ ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენს საცხოვრებელი წრე და გარემო, რომელის საზოგაოებასაც მისივე ოჯახის წევრები ქმნიან, სხვადასხვა პარტიას ეკუთვნიან და ქეთევანს ყველა საკუთარ მხარეს ექაჩება, აგრეთვე მეგობრები, რომელთა წყალობით

ქეთევანმა დაინახა მეფის ხელისუფლების სისასტიკე და „შავი გედი“ კოშკიდან ჩამოვიდა.

ქეთევან ახატნელი დემოკრატიული შეხედულებებით მივიდა რევოლუციამდე მაგრამ მან მაინც ვერ შეძლო ბოლომდე მისი შეხორცება. არ ეყო ძალა გამხდარიყო „ივდითი“. ქეთოს გააზრებული აქვს, მართას მსაგვსად გაბედული ნაბიჯები უნდა გადადგას და ზურაბის ყურადღება უნდა დაიმსახუროს, ის ხედავს, რომ ზურაბი მართას ანიჭებს უპირატესობას. რევოლუციური რწმენის გავლენით ზურაბისთვის დგამს გაბედულ ნაბიჯებს და ფიქრობს, რომ შეუძლია დეკაბრისტის ცოლის ტვირთი გასწიოს და ივდითობა იკისროს. თუმცა შემდეგ განვითარებული მოვლენებიდან ჩანს, რომ ივდითობასაც გამბედაობა სჭირდებოდა და ქეთოს ძალას აღემატებოდა. ქეთევანი ოცნებებით უფრო მივიდა რევოლუციასთან, ვიდრე რწმენით.

აღსანიშნავია, ქეთო, როგორც ქალი საკმაო ქარაფშუტობას იჩენს, ხორციელი ტკბობის გამო ზურაბთან გადადგმული თამამი ნაბიჯები მის სულიერ დაცემამდე მიდის, რადგან მან ცოდვაში ფეხი ჩადგა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ავშაროვის ცოლი ჯერ კიდევ არ გამხდარიყო. მისი გაორება და ორჭოფობა თავს იჩენს საზოგაოდოებრივი ცხოვრების გარდა პირად ცხოვრებაშიც. ქეთევანმა საძულველ ავშაროვზე დაქორწინებითა და შემდგომ ზურაბ გურგენიძის საყვარლად გახდომით შეასრულა არა ბიბლიური ივდითის როლი, არამედ ზურაბ გურგენიძისეული ივდითისა. ზურაბისაგან წაქეზებულმა ქალმა ,,თავი საბილწაოდ მისცა მტერს“, რითაც ქეთო ახატნელი, როგორც მკვლევარი ლ. წიქარიშვილი მიუთითებს, დაშორდა თავის პირველსახეს – ქეთევან წამებულს, რადგან მკვლევრის აზრით ქეთევან ახატნელი მიხეილ ჯავახიშვილთან აღნიშნავს ქრისტოცენტრული ცნობიერების იდეალს – იდეას მსხვერპლისა, რომელსაც ეფუძნება ქართული ქრისტიანული კულტურა.

მას შემდეგ, რაც ქეთო მიხვდა, რომ ზურაბის იმედზე აღარ უნდა ყოფილიყო და მართასთან ერთად გააცილა, ცდილობს დაიბრუნოს კლიმიაშვილის ყურადღება და შუქურაულთან იგივეს იმეორებს. აქ მთავარი ის ფაქტია რომ იგი ცდილობს ძველი თაყვანისმცემლებიდან დაიბრუნოს რომელიმე, რაც მის პიროვნებას ამცირებს.

ქეთოს უნებისყოფობას ამტკიცებს მისი თვითმკვლელობის მცდელობა. ქეთომ ვერ შეძლო რევოლუციის მძიმე ტვირთის ზიდვა, როგორც მართა დოვლათაშვილმა. ქეთევან ახატნელის წარმომავლობა მისი სისუსტის განმსაზღვრელია. ქეთოს ხვედრი ცხრაასხუთის მონაწილე იმ საზოგადოების ხვედრია, ვინც პირველივე სუსხის შეგრძნებისას განზე გადგა. ქეთევან ახატნელი საკუთარი ტვირთის ქვეშ გაისრისა.

ქეთევან ახატნელის საპირისპიროდ მწერალი მუშათა კლასის წარმომადგენელს, გაუბზარავი ხასიათის მართა დოვლათიშვილს გვიხატავს და ამით სწორედ ამ კლასის უპირატესობას უსვამს ხაზს ავტორი. იგი საშუალებას გვაძლევს ეს ორი პერსონაჟი ქალი შევადაროთ ერთმანეთს, რადგან რომანის სათაური “ქალის ტვირთი” მხოლოდ ქეთოს ტვირთს როდი გულისხმობს, იგი მართას ტვირთიც საყურადღებოა, რომელიც ქეთოს ტვირთზე უფრო მძიმე და რთული საზიდია, მაგრამ არ დაცემულა მართა, მან ერთგულად, მებრძოლი სულით და წელში გამართულმა ზიდა ის. მართა იმ განსაკუთრებულ ქალ პერსონაჟებს შორისაა, რომლებიც ქართულმა ლიტერატურამ სხვადასხვა ეპოქაში — როგორც XX საუკუნეში, ისე ადრეულ პერიოდშიც — შექმნა. იგი ატარებს ყველა იმ ღირსებას, რაც „ქართვლის” დედის ხატებას ქმნიდა: ერთგულებას, სისუფთავეს, მტკიცე ნებას, თავდადებასა და შეუდრეკელ მოთმინებას. თავისი ძლიერი ხასიათითა და ბრძოლისუნარიანი სულით მართა ღირსეულად დგას ქართულ ლიტერატურაში აღბეჭდილ მებრძოლ ქალთა გვერდით.

მიხეილ ჯავახიშვილმა ამ რომანით გამოააშკარავა ქალები, რომლებიც დარჩნენ საკუთარი წრის შვილებად, ზოგი რევოლუციას მიეკედლა და ვერ შეეთვისა, ამიტომაც საკუთარმა ტვირთის სიმძიმემ გასრისა, ზოგი პირიქით რევოლუციის წინაშე მედგრად დადგა და გაითავისა საკუთარი წილი ტვირთი,მძიმე და ძნელად საზიდი,მაგრამ, მაინც საკუთარ ხვედრად აქცია. ეს არის რომანი, სადაც დაკისრებული მორალური ტვირთის ზიდვა ერთმა ქალმა შეძლო, მეორემ-ვერა. სწორედ ამიტომ არ შეცვალა ავტორმა სტალინის რჩევის მიუხედავად რომანის სათაური ეს არის ,,ქალის ტვირთი” და არა ,,ქალის ვალი”.

მიხეილ ჯავახიშვილისათვის მნიშვნელოვანია ის ქალი პერსონაჟები, რომლებმაც მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრეს ქართველი ერის ცნობიერებაში. მწერალი ცდილობს თითოეული ქალის სახე წარმოგვიდგინოს ისე, რომ მისაბაძი გახდეს, მათი საქციელი

მომავალი თაობისათვის. დაგვანახოს მკითხველს, სად იყო დაშვებული შეცდომები სისუსტის გზაზე.

ავტორი გმობს ქალის სიმსუბუქეს, ქარაფშუტობას, უგუნურებას, უღირსობას. მიხეილ ჯავახიშვილს სძულს ფუტურო პერსონაჟები, ისეთები, როგორებიც არიან მარგარიტა ყაფლანიშვილი და ქეთევან ახატნელი, მკითხველს ლოგიკურად მიაჩნია აღნიშნულ მთავარ გმირთა ჭაობში ჩაძირვა და უფრო მეტად გაუკუღმართება.

აღნიშნულზე მეტყველებს მწერლის პუბლიცისტური ნააზრევიც, სადაც ვკითხულობთ :

"მხოლოდ დრო და სივრცეა მარადიული" (ჯავახიშვილი, მ., 2015: 17).

"მარგო ისტერიით გახდა ავად სქესის ნიადაგზე,ჯაყომ მოარჩინა" (ჯავახშვილი, მ.,2015:28).

"სულიერი სიცარიელე და გარეგანი ბრწყინვალება" (ჯავახიშვილი, მ., 2015 : 61).

"მარტოობის შიში სისუსტის ნიშანია"(ჯავახიშვილი, მ., 2015: 289).

"სიყვარული უსაზღვრო სიკეთეა,სულიერი დადნობაა. დანარჩენი მხოლოდ სიტკბოებაა, ვნებიანობა, ხორცის აგონია. მან არც პატიება იცის,არც სიკეთის ქმნა"(ჯავახიშვილი, მ., 5015:163).

"ქალს შუბლის ძარღვი გაუწყდა. ე.ი. სინდისი დაეკარგა"(ჯავახიშვილი, მ., 2015:354).

ამდენად, მიხეილ ჯავახიშვილმა ორიგინალური და თავისთავადი ქალი პერსონაჟების მხატვრული სახეების შექმნით ამხილა ეპოქის სინამდვილე. ჩვენ მიერ ნახსენები პერსონაჟებისათვის ხვედრი აღმოჩნდა სწორედ ეპოქის მძიმე უღელი, ქალის პიროვნების დაკნინება ხომ ისეთივე საშიში მოვლენაა ერისათვის, როგორც "ჯაყოობა", "კვაჭიზმი" თუ "ყვარყვარეობა".

რაც შეეხება მათ ტვირთს, როდესაც ადამიანი ინსტიქტების მონა ხდება და მის მოქმედებას ეგოიზმი წარმართავს, ტვირთი, რომელიც შესაძლებელია დასახული მიზნის მისაღწევად აიკიდეს მხრებზე, გაცილებით დიდი და ძნელად საზიდია და შესაძლებელია მის ქვეშ გაისრისონ კიდეც. ,,ორთა უფალთა შორის" მერყევი ადამიანები გაორებულნი და გზააზბნეულნი არიან, ეს საკითხი ერთ-ერთ მტკივნეულ პრობლემად იქცა მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებაში.

ლიტერტურა:

1. კვანჭილაშვილი, ტ.,(1987), მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედება, თბილისი,თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა;
2. ნიკოლეიშვილი, ა., (2013), ქართული ლიტერატურა, თბილისი, გამომცემლობა "საქართველოს მაცნე";
3. ჯავახიშვილი, ქ., (1989), მიხეილ ჯავახიშვილი, თბილისი, საბჭოთა საქართველო;
4.ჯავახიშვილი,მ.,(2015), უბის წიგნაკებიდან , თბილისი, გამომცემლობა "ინტელექტი";
5.ჯავახიშვილი,მ.,(2011),უბის წიგნაკებიდან ჩანაწერები, თბილისი. გამომცემლობა ,,ინტელექტი";
6. ჯავახიშვილი, მ., (2019), ჯაყოს ხიზნები, თბილისი, გამომცემლობა "ქართული".

Woman's Fate or Woman's Burden in the Artistic Thought of Mikheil Javakhishvili

Bluishvili Gvantsa

Iakob Gogebashvili Telavi State University

Abstract

Female characters occupy a prominent place in the works of Mikheil Javakhishvili. Accordingly, this issue has been given due attention in Georgian scholarly circles.

The question of what role Mikheil Javakhishvili's female characters are assigned in society has become a subject of keen interest. How they are created piques the interest of every generation.

For Mikheil Javakhishvili, those female characters who have secured a significant place in the Georgian consciousness are of great importance. The writer attempts to portray each female character

in such a way that she becomes a role model, with her actions serving as an example for future generations. He aims to show the reader where mistakes were made on the path of weakness.

The author condemns a woman's frivolity, greed, flightiness, and unworthiness. Mikheil Javakhishvili despises hollow characters, such as Margarita Kaplaniashvili and Ketevan Akhatneli; the reader finds it logical that these main characters become further corrupted and sink into a quagmire.

By creating such artistic figures, Mikheil Javakhishvili showed us that a person, regardless of the class to which they belong or the historical period in which they live, should not be stripped of their human conscience and honor. This is all the more true for a woman, who should not be swayed toward what she expects to benefit from, as this is an unguaranteed and temporary pleasure.

The writer's publicistic thought, where we read the following, also speaks to this point:

"Finding one's way and achieving victory is possible only through labor and honesty. Laziness is mischief; lies and falsehood will sooner or later inevitably ruin a person";

"To humiliate oneself is worse than arrogance";

"It is amazing how quickly the fallen nobles, the disgraced generals, and the debased men find one another!".

By creating original and unique female characters, Mikheil Javakhishvili exposed the reality of the era. The fate of his female characters turned out to be the heavy yoke of the epoch itself; the degradation of a woman's personality is a phenomenon just as dangerous for the nation as "Jaqoism" (the brutish opportunism of the character Jaqo), "Kvachism" (the roguish adventurism of Kvachi), or "Kvarkvareism" (the demagoguery of Kvarkvare).

As for their burden, when a person becomes a slave to their instincts and their actions are guided by egoism, the burden they may have shouldered to achieve a set goal becomes far greater and harder to bear, and it is possible they may even be crushed beneath it. People wavering "between two masters" are conflicted and have lost their way, and this issue became one of the most painful problems in Mikheil Javakhishvili's work.

Key words: Mikheil Javakhishvili, Woman’s Burden, Fate.